# ცნობის ფურცელი

№ 2370 კვირა, 4 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2370

**გაზეთი ღირს**: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. უდამატებოთ, ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმ. 36.

## ქართული თეატრი

კვირას 4 იანვარს 1904 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვლ. ალექსი-მესხიშვილის სა[illegible]ნეფისოდ

### ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი

ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა თარგ. ავალიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანიშვილი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი მომატებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზად[illegible] წარმოსადგენად: „ღალატი“ სუმბათაშვილისა. თარგ. კ. მესხისა.

**ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.**

[illegible]ტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 4 იანვარს, 1904 წ., ორი წარმოდგენა, დილით

### დ ე მ ო ნ

საღამოთი **ბოშების ბარონი**

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: მელნიკოვა, რადიონოვა, კარტავინა, სელიუკ, ჩიჟოვა, ლელინა; ბ-ნნი: ჲაისკი, სელიავინ, ილიუშჩენკო, ამირჯან, თულაევი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ა ნ ო ნ ს ი: 5 იანვარს წარმოდგენა არ იქმნება. 6 იან. ორი წარმ.: დილით „კამორრა“, საღამოთი —„რიგოლეტო“. (ნ.)

**ნამდვილი თეთრი ცელულიარული აბრეშუმის ბრენა**

ბაღდადის ჯიშისა, თითო კოლოფში ექვს-ექვსი მისხალი

### ძმ. პასხალიდის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ა. ქ. ზახარიადისი**

ადრესი: დვორცოვი ქუჩა, სარაჯევის სახლი, სადგომის № 6. (10—8)

**ტ ფ ი ლ ი ს ი ს**

### კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

**ვ. ჟიჟინაძე**—კბილისა, 8—10 საათამდე.

**ლ. ივ. კამოევი.**—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

**ნ. ტ. ტულიევი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

**ვ. დ. ლამბაშიძე.**—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11 12.

**ლ. მ. მონინი.**—ქალისა, საზებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საზე ,ბიოსამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**ბრ. ზ. ხოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

**ვ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ა. გ. მაღალაშვილი.**— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.

(წლ.) **ტელეფონი** № 274

გამოვიდა და იყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი გამოცემანი ქუთაისურ ამხანაგობისა:

1) **„ლევან ბატონიშვილი“** თხზ. ო. ხუსკივაძისა, ფასი 10 კაპ.

2) **„ჟიანეტა“** თარგ. ა. ი. ნიკოლაძისა, ფასი 30 კაპ.

ვინც ამხანაგობის კიოსკიდან (ქალ. ქუთაისი, ქალაქის ბაღი) დაიბარებს ან იყიდის იქვე ამხანაგობის გამოცემებს 20 დეკემრიდან 20 იანვრამდე, მას დაეთმობა 30% დაკლებით, ხოლო ა) თხზ. მამია გურიელისა, ბ) თხზ. გ. წერეთლისა I და II ნაწ. გ) „საქართველოს ისტორია“ ბარათაშვილისა I და II ნაწ., და დ) თხზ. გრ. აბაშიძისა - 40% დაკლებით.—იბეჭდება და მალე გამოვა გ. წერეთლის თხზულებათა მე-III ტომი. (5—5)

სამშაბათს 1904 წლის იანვრის 6 ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება

### მეჯლისი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ფასია 2 მან. 10 კაპ.

ქალებისთვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამოქალაქოთათვის, რომელნიც ცეკვენ, ფრაკი სავალდებულოა, ხოლო სამხედროთათვის დადგენილი ფორმა.

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

ბილეთები იყიდება კრუჟოკის შვეიცართან. (ე. 4—4)

**კბილის ექიმი**

### ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

**კბილის ექიმი**

### ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

**ე ქ ი მ ი**

### ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

### ქუთაისში ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—29)

**ე ქ ი მ ი**

### ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

## უცხოეთი 1903 წელს

(დასასრული *)

**ოსმალეთი. მაკედონიის საქმე.** ოსმალეთში წარსულ წელსაც იგივე თეოკრატიული მართლ-მორწმუნე მუსულმანთა სახელმწიფო იყო, როგორიც ასისა და ორასის წლის წინად ყოფილა, არაფერი ცვლილება, არაფერი წინმსვლელობა არ შეჰტყობია. ასევე ითქმის სხვა მუსულმან სახელმწიფოებზედაც, მაგალითად, ჩვენ მეზობელ სპარსელებზედაც. მუსულმანთა სახელმწიფოები დიდი ხანია ევროპის სახელმწიფოების საწველ ფურად, ხელ-წასაკრავად გამხდარან და ამ საცოდავ ყოფისათვის თავი ვერ დაუხწევიათ. ოსმალეთში წარსულ წელსაც გამუდმებული არეულობა და შფოთი იყო. ყველაზე მეტად-კი მაკედონიის აჯანყებამ გაუჭირა საქმე ოსმალეთს. მაკედონელი ბოლგარები გაზაფხულზე აჯანყდნენ და ზამთრის პირამდე ბრძოლაზე ხელი არ აიღეს. დიდი ჯარი შეჰყარა ოსმალეთმა მაკედონიასა და ადრიანოპოლის ვილაეტში, ოსმალოს ხალხიც მიიშველია, მეტად უდიერად და უმოწყალოდაც ექცევოდა აჯანყებულთ, ბოლგართ სოფლებს სულ მუსრი გაავლო, მაგრამ თავისუფლებისთვის თავდადებული მამაცი მაკედონელი ბოლგარები მაინც არაფერს არ შეუშინდნენ, პირიქით, უფროც უმატეს ბრძოლასა და მაკედონიის გარდა, ადრიანოპოლის ვილაეტშიაც ააჯანყეს ხალხი. ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად მაკედონელების ახალგაზდა მეთაურმა ბორის სარაფოვმა ისახელა თავი: მთელ მაკედონიას გარს უვლიდა, ყველას საბრძოლველად ახალისებდა და საქმეს მეტად დიდის მოხერხებით უძღვებოდა. ოსმალებს გარდა, ბოლგარებს ქრისტიანი ბერძნებიც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ ბოლგარებმა ესეც არაფრად ჩააგდეს და მაკედონიისათვის თავისუფლების მოპოება მარტოდ იდვეს თავსა და თუ თავიანთ გულის საწადელს ვერ მიაღწიეს, საქმე მაინც წინ წასწიეს.

ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებში მაკედონელ რევოლიუციონერებს მარტოდ-მარტო ბოლგარია უწევდა ბეჯით დახმარებას და მაკედონიის გულისთვის, ცოტას გასწყდა, ოსმალეთს ომი არ გამოუცხადა. რასაკვირველია, დიდი სახელმწიფოები, მეტადრე ავსტრია და რუსეთიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ მაკედონიის საქმეს და მთელი წელიწადი ოსმალეთს რეფორმების შემოღებას ურჩევდნენ მაკედონიაში. ეგაა ავსტრია და რუსეთი ამ საქმეში თავიანთ ჩვეულებრივ პოლიტიკას მისდევდნენ და თითქო უფრო იმასა ცდილობდნენ, რომ მაკედონია თავის ძალით, რევოლიუციის შემწეობით არ განთავისუფლებულიყო და ოსმალეთს სამუდამოდ არ მოჰშორებოდა. ეს ორი სახელმწიფო უფრო რევოლიუციონერთა კომიტეტებსა და ბოლგარიასა სდებდა სისხლის ღვრის ბრალსა, ვიდრე ოსმალეთს. ნამეტნავად როცა რევოლიუციონერებმა მრავალ ადგილას აფეთქება მოახდინეს, ავსტრიამ, რუსეთმა და ნამეტნავად გერმანიამ თითქმის სრული თავისუფლება მისცეს ოსმალეთს, როგორც გერჩიოს, ისე მოექეცი მაკედონელებსაო. იმის შიშით, რომ მემრის უარესი აჯანყება არ მოხდესო, ავსტრიამა და რუსეთმა შემოდგომაზე მაინც მაკედონიისათვის საჭირო რეფორმების პროგრამა შეიმუშავეს და ოსმალეთის მთავრობას წარუდგინეს. ამ პროგრამის ძალით მაკედონიის უმთავრეს ინსპექტორს ხილმი-ფაშას ორი თანაშემწე უნდა დაენიშნოს: ერთი ავსტრიელი, ერთი რუსი; მაკედონიის ჟანდარმერიის უფროსად უცხოელი გენერალი უნდა დაინიშნოს; ამ გენერალს თანაშემწეებად აგრეთვე უცხოელი ოფიცრები უნდა მიეცეს; აჯანყების დროს დაზარალებულ ქრისტიანებს შემწეობა უნდა მიეცეს, ოსმალებისაგან დანგრეული სახლები, ეკლესიები და სკოლები ოსმალეთის ხარჯით უნდა აშენდეს და სხვ. ოსმალეთის მთავრობამ პირველში ძლიერ იწყინა ეს რეფორმები, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, დასთანხმდა და წლის გასულს კიდევაც შეუდგა ამ რეფორმების ასრულებას. ეგაა ყველა დარწმუნებულია, რომ ხონთქარი აქაც თავის შესანიშნავ დიპლომატიურ ნიჭს გამოიჩენს, საქმეს ისე გააჭიანურებს, რომ, იქნება, ამ რეფორმებმაც ჩაილურის წყალი დალიონ, ისე როგორც ბევრს სხვა რეფორმას დაულევია. მთელი წელიწადია, რაც ხილმი-ფაშა მაკედონიაში ვითომ რეფორმებს ახდენს, მაგრამ აქამდე არაფერიც არ გაურიგებიაო. ამას გარდა ავსტრია-რუსეთის პროგრამა არც მაკედონელებს მოსწონთ; ამათი მეთაურები სარაფოვი და სხვები ირწმუნებოდნენ წლის გასულს, გაზაფხულზე უფრო ძლიერი აჯანყება მოხდებაო, მაკედონია არ დამშვიდდება, ვიდრე სრული ავტონომია არ მიეცემაო. მაკედონელთა მეთაურები წლის გასულსაც მომავალ აჯანყების თადარიგში იყვნენ.

მართალია, ავსტრია-რუსეთს ყველა დიდმა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი, მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფოს, მეტადრე ინგლისს, მაინც ჰკუაში როდი მოსდის ავსტრია-რუსეთის პროგრამა. ინგლისის მთავრობა და მეტადრე საზოგადოება იმ აზრისაა, რომ მაკედონიის ბედი ერთი და ერთი სამუდამოდ უნდა გადასწყდეს და მაკედონიას სრული ავტონომია მიეცესო. ჯერ-ჯერეობით ინგლისი გაჩუმებულია, მაგრამ თავის დროზე ხმას ამოიღებს; საფრანგეთსა და იტალიასაც ინგლისის პირი უჭირავთ ამ საქმეში. ამიტომ რევოლიუციონერებსა და ბოლგარებსაც უფრო ამ სახელმწიფოების დახმარების იმედი აქვთ, ვიდრე ავსტრიისა და რუსეთისა. ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ წარსულ წელს მაკედონელებს ყველაზე მეტად ინგლისელები თანაუგრძნობდნენ და ფულით დახმარებასაც ყველაზე მეტს ესენი უწევდნენ.

მაკედონიის აჯანყებამ მეტად აალელა ალბანელები და საზოგადოთ ევროპის პროვინციებში მცხოვრები მუსულმანები. ესენი ძლიერ გადაემტერნენ ქრისტიანებს და იმათ ქომაგ ავსტრიისა და რუსეთის კონსულებს. წარსულ წელს ალბანელებმა რუსეთის ორი კონსული მოჰკლეს: 18 მარტს მიტროვიცაში შჩერბინა მოჰკლეს და 26 ივლისს ბიტოლში როსტკოვსკი. რუსეთმა, რასაკვირველია, დამნაშავეთა დასჯა და სრული დაკმაყოფილება მოსთხოვა ოსმალეთს და მიიღო კიდეც ეს დაკმაყოფილება. მუსულმანები მაინც წლის გასვლამდე აღელვებულნი იყვნენ, ყველა ქრისტიანს მეტად მტრულის თვალით უყურებდნენ და თავიანთ, სამღვდელოების რჩევით, ზოგგან შეთქმულობაც კი გამართეს ქრისტიანთა გასაწყვეტად.

მართალია მუსულმანები ჰღელავენ, მაგრამ არც თუ ქრისტიანები არიან მშვიდად. ესენიც უფრო ძლიერ აჯანყებისათვის ემზადებიან, ბოლგარია და სერბიაც შველას ჰპირდებიან და თითონაც ომის თავდარიგში არიან. ამბობენ, მემრის სომხებიც აიშლებიან და რეფორმებს მოითხოვენო. ერთის სიტყვით, მომავალი წელიც არაფერს კარგს არ უქადის ოსმალეთს; მტერი ბევრი ჰყავს, ქომაგი-კი მარტოდ-მარტო გერმანია.

**ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები.** შტატების შინაგან პოლიტიკურ ცხოვრებაში წარსულ წელს ისეთი თვალ-საჩინო საყურადღებო საქმე არა მომხდარა-რა. პრეზიდენტ რუზველტმა ცოტაოდენი ალაგმა მოუნდომა კაპიტალისტების „ტრიოსტებს“ მაგრამ ამით საქმეს ვერა უშველა-რა, მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტები-კი გადაიმტერა. ასე რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნისათვის „ტრიოსტების“ წარმომადგენლები საკუთარ კანდიდატის, თავიანთ ერთგულ მსახურის სენატორ ჰანის დასახელებას აპირებენ. პრეზიდენტი წელსაც მედგრად ესარჩლებოდა ამერიკელ ზანგებს და სიტყვით თუ საქმით დიდს დახმარებას უწევდა.

უნდა მოვიხსენიოთ ამერიკელ სოციალ-დემოკრატების გაძლიერება და მუშების ტრედ-უნიონების დადგენილება: ამას იქით ჩვენი საკუთარი პოლიტიკური დასი ვიყოლიოთ და ყველგან, შტატების საკანონმდებლო დაწესებულებასა, თუ ფედერატიულ კონგრესში ჩვენი საკუთარი წარმომადგენლები ავირჩიოთო. შტატებში მუშები წარსულ წელსაც დიდის გამწვავებით ებრძოდნენ კაპიტალს და ისე, როგორც ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა და ყველა დაწინაურებულ ქვეყანაში, მრავალ გაფიცვას ახდენდნენ და თავიანთ ინტერესებს ბეჯითად იცავდნენ.

საგარეო პოლიტიკაში წარსულ წელს ამერიკის მთავრობა დიდს გამჭრიახობას იჩენდა და თავის ვაჭრობასა და მრეწველობას ყველგან გზას უკაფავდა, ისეთ დაშორებულ ქვეყნებსაც-კი არ ივიწყებდა, როგორიცაა აბისინია, და ყველგან თავის ეკონომიურ ინტერესებს კარს ულებდა. ყველაზე დიდს ყუ-

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 2369.

ადლებას-კი აღმოსავლეთ-აზიის ბაზრებს აქცევდა. შორეულ-აღმოსავლეთში ამერიკა თავის ჩვეულებრივ „ღია კარების პოლიტიკას“ მისდევდა და მანჯურიასა თუ კორეაში ნავთსადგურებისა და ქალაქების გახსნას თხოულობდა საერთაშორისო საყოველთაო ვაჭრობისათვის. წარსულ წელს ამერიკამ სავაჭრო ხელ-შეკრულობა დასდო ჩინეთთან და ახალ წლის წინა დღეებში კიდევაც დაამტკიცებინა, თუმცა რუსეთი დიდს წინააღმდეგობას უწევდა და ყოველნაირად ხელს უშლიდა ამ საქმეს. ამ ხელ-შეკრულობის ძალით, ჩინეთმა მანჯურიაში მუკდენი, ანდუნი, დადუნგოუ საერთაშორისო ვაჭრობისათვის უნდა გახსნას. ამერიკელები ამბობენ, ამ ხელშეკრულობას ეხლა მაღალი ღმერთიც ველარ გააუქმებსო... შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში ამერიკა იაპონიასა და ინგლისს ემხრობოდა და რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდა.

წარსულ წელს ამერიკის მთავრობამ ერთი მეტად დიდი საქმე გაარიგა მთელის განათლებულ ქვეყნიერობის გასახაროდ: პანამის ახალ რესპუბლიკისაგან პანამის არხის გათხრის უფლება შეიძინა და, რაღა თქმა უნდა, სახელოვნადაც შეასრულებს ამ საქმეს.

**ჩინეთი. იაპონია. შორეულ-აღმოსავლეთის საქმე.** ჩინეთი წარსულ წელს, ცოტა არ იყოს, ჭკუაზე მოვიდა და უფრო მეტი პოლიტიკური ფხა და უნარი გამოიჩინა. შარშანდლამდე დიდის სახელმწიფოებისაგან სამხედრო იარაღის შეძენა აკრძალული ჰქონდა, წარსულ წელს ამ აკრძალვას ვადა გაუთავდა და მას აქეთ ჩინეთი ბეჯითად შეუდგა იარაღისა და თავისს ჯარის ევროპიულ წესზე მოწყობას. როგორც მცოდნე კაცები ირწმუნებიან, წლის გასულს ჩინეთს 90 ათისი ევროპიულად გაწრთვნილი ჯარი ჰყავდა. თავისს ჯარში ინსტრუქტორებად ჩინეთის მთავრობამ უმთავრესად იაპონელები მიიწვია. ჩინეთის მთავრობამ თმვისი მტერი და მოყვრებიც უფრო რიგზე გაარჩია და გარეშე სახელმწიფოებში ყველაზე მეტად იაპონიას დაუახლოვდა.

ჩინეთის ნიჭიერი სახელმწიფო კაცები პრინცი ცინი, მეფ[illegible]ადგილე იუანშიკაი და სხვანი ჯარის გარდა სხვა რეფორმებსაც აქცევდნენ ყურადღებას, ეგაა მოხუცებული ქვრივი დედოფალი დიდს წინააღმდეგობას უწევდა და ყოველ სერიოზულ რეფორმას ხელს უშლიდა.

თვით ხალხშიაც, მეტადრე სამხრეთ-ჩინეთში დიდი პროგრესიული მოძრაობა იყო მთელს წელიწადს; ზოგიერთი მცოდნე კაცი ირწმუნება, ჩინეთი უფრო ადრე შემოიღებს ევროპიულ რეფორმებს, ვიდრე ზოგიერთი სხვა დიდი სახელმწიფო.

წარსულ წელს ჩინეთში ევროპიულმა სწავლა-განათლებამაც უფრო მძლავრად გაიდგა ფესვი. ჩინელი ახალგაზდობა ათასობით მიდიოდა სასწავლებლად უცხო ქვეყნებში და ყველაზე მეტად კი იაპონიის უნივერსიტეტებს ეტანებოდა. მთავრობის გარდა, ჩინეთის ხალხმაც, მეტადრე ახალგაზდობამ მეტად მეგობრულის თვალით დაუწყო ცქერა „ამომავალ მზის ქვეყანას“.

ჩინეთმა წარსულ წელს თავისი საფინანსო საქმეებიც უფრო რიგზე მოაწყო და დიდის სახელმწიფოების ვალის ნაწილი დაწესებულ ვადაზე გადაიხადა. ერთის სიტყვით, წარსულ წელს „ცის ქვეშეთის იმპერიამ“ თვალ-საჩინოდ გამოიღვიძა.

27 სექტემბერს რუსეთს მანჯურიიდან ჯარის გაყვანის ვადა შეუსრულდა, ჩინეთმაც ხმა ამოიღო და რუსეთს პირობის ასრულება მოსთხოვა. ჩინეთის სუსტ ხმას ვინ მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ საქმეში „ამომავალ მზის ქვეყანა“ გაერია... ეს რამდენიმე თვეა იაპონია ორთავიან არწივს შეება, ორივ სახელმწიფო დიდს დიპლომატიურ მოლაპარაკებაში არიან, თან საომრად ემზადებიან, მაგრამ ეს საქმე ჯერაც არ გათავებულა. მოუვათ ომი ამ ორ სახელმწიფოს, და თუ მოუვათ, ვინ ვის აჯობებს, ამას მომავალი წელი დაგვანახვებს.

„ამომავალ მზის ქვეყანასა“, კორეიასა და საზოგადოთ შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს ჩვენი გაზეთი იმდენს ადგილს უთმობდა და ისეთს დიდს ყურადღებას აქცევდა, რომ ამ საქმეზე უფრო დაწვრილებით წერა საჭიროდ აღარ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ საქმე ჯერაც არა გათავებულა და მომავალშიაც ბევრჯელ [illegible]გვიხდება ამ საგანზე წერა და ლაპარაკი.

# ახალი ამბავი

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელმა პეტერბურგში ბ-ნმა ვერმიშევმა აცნობა საზოგადოების საბჭოს, რომ **მეღვინე-მევენახეობის კომიტეტის** სხდომები დაიწყება იანვრის ბოლო რიცხვებში; მიწვეულ იქნებიან სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებად კომიტეტში დანიშნულნი არიან თავ. ს. ვახვახიშვილი და ქ. ვერმიშევი.

✦ ამ ხუთის დღის წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გაუგზავნა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებულ **ღვინის შესახები კანონის** პროექტის 20 ცალი. გუშინ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა დეპეშით სთხოვა საზოგადოების საბჭოს, კიდევ გაუგზავნოს 20 ცალი ამ პროექტისა. საბჭომ გუშინვე გაუგზავნა დეპარტამენტს 20 ცალი პროექტისა.

✦ გუშინ, 3 იანვარს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უკვე მიიღო ქუთაისის გუბერნიაში შეკრებილი საექსპონატო მასალა **სან-ლუის გამოფენაზე** გასაგზავნად. ექსპონატებს მოელის საბჭო ბაქოსა, ლენქორანსა და სხვა ადგილებიდან. კავკასიაში შეკრებილ ექსპონატებს საზოგადოება მოუყრის თავს 10 იანვრამდე და შემდეგ გაჰგზავნის ოდესაში, საიდანაც ამერიკაში ერთის გემით იქნება გაგზავნილი რუსეთის სხვა კუთხეების ექსპონატებთან ერთად.

✦ ტფილისის მეეტლეებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, შესცვალოს ამ რამდენისამე წლის წინად შემოღებული **ნიხრი მიმოსვლისა**. მეეტლეები სწერენ, რომ ქალაქი ძალიან გაიზარდა და ცხენების შენახვაც ეხლა უფრო ძვირად გვიჯდება, ვიდრე წინადოო. თხოულობენ ნიხრი ამ რიგად შეიცვალოს: საათში 60 კაპეიკის ნაცვლად 70 კაპეკი: ერთის კუთხიდან მეორემდე გადაყვანა 30 კაპ. ნაცვლად 35 კ., ქალაქიდან ავლაბარს იქით ნოვოტროიცკის სოფლამდე—50 კაპ., ნავთლუხსა და ნიჟეგოროდის ყაზარმებამდე—60 კ., სადგურ ნავთლუხამდე—80 კ., ქალაქის საყასბომდე—1 მ., ვერაზე სათავად-აზნაურო სკოლამდე—50 კ., სემინარიის ახალ შენობამდე—70 კ., ხოლო სადოლე მოედნამდე—70 კ. ნაშუაღამევის პირველ საათიდან საათში—1 მან., ხოლო ერთი გავლა („კანეცი“) 50 კ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა წარუდგინოს თხოვნა საბჭოს, როცა იგი შეუდგება ეტლებისა, დროგებისა, და სხვ. ნიხრის გადათვალიერებას თანახმად განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებულ მოხსენებისა ამ საკითხის შესახებ.

✦ იმ კომისიამ, რომელ[illegible] მიმოსვლის ნიხრის დაწესება აქვს მინდობილი, განიხილა მოხსენება წევრის ხუდადოვისა და საჭიროდ დაინახა დაწესდეს **შემდეგი ნიხრი:** ორ ცხენიან ეტლზე ერთი კუთხიდან მეორემდე—30 კაპ., ერთ-ცხენიან ეტლისათვის—20 კ., საათში ორ-ცხენიანი ეტლი—60 კ., ერთ-ცხენიანი 40 კ., ქალაქის ერთი რაიონიდან მეორეში გადასვლა ორ ცხენიან ეტლზე 40 კაპ. და ერთ ცხენიანზე 25 კაპ., საათობით ორ-ცხენიანი ეტლი ეღირება 70 კაპ. და ერთ-ცხენიანი 45 კ. ამ დადგენილებას ქალაქის გამგეობა ამ დღეებში წარუდგენს საბჭოს.

✦ 2 იანვარს **ხორცის დუქნების** გამგე კომისიამ დაადგინა, მოუსპოს წვრილ ვაჭრებს ქალაქის დუქნებიდან მთელის დაკლული საქონლის გასასყიდად გატანა, რადგან საქონელი ძალიან გაძვირდა და ამასთან წვრილი ვაჭრები ჯეროვანად არ ასრულებენ კომისიის დადგენილებას ნიხრის შესახებ. მთელის საქონლის ყიდვის ნებართვა ქალაქის დუქნებიდან კომისიამ მისცა მხოლოდ რკინის გზის მხმარებელ საზოგადოების მაღაზიას.

✦ 17 იანვარს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში, ბ-ნი კასპაროვიჩი წაიკითხავს **საინტერესო ლექციას** „ახალი ხელოვნება (დეკადენტობა), სიმვოლიზმი და სიყვარული“. ბ-ნი კასპაროვიჩი ცნობილი ლექტორია. ლექციები წაუკითხნია როგორც საზღვარ-გარედ, ისე რუსეთის დიდს ქალაქებში. სხვათა შორის, ლექტორი ბუნდოვანის სურათებით აჩვენებს მოდერნისტებისა და დეკადენტების ნახატებს.

✦ **ახალ-სენაკი**, 1 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ლუკა ბუკუჩავას შენობას, რომელშიაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ბათუმი“: ცეცხლი გადავიდა სხვა შენობებზედაც. დაიწვა ათი დუქანი. ცეცხლი ჩააქრეს ღამის 10 საათზე. ამბობენ, ბუკუჩავას სახლი და სასტუმროს პატრონის საქონელიც დაზღვეული იყოო.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება ღვინის კანონის პროექტის განსახილველად დანიშნულია 13 იანვრისთვის.

✦ ხუთშაბათს, 1 იანვარს, ანდრიას ქუჩაზე, სამისსიონერო ეკკლესიაში შეპარულან ქურდები, მაგრამ დარაჯს მოუსწრია და ერთი კიდეც შეუპყრია. როცა დაუპირებია პოლიციაში წაყვანა, ამ დროს მეეზოვის ტანთსაცმელში გამოწყობილი იმ ქურდის ამხანაგი მისულა დარაჯთან და უთქვამს, მე წავი-

# ფელეტონი

## საბიბლიოგრაფიო შენიშვნები

(პრ. დოც. უსტინოვის წიგნაკის შესახებ)

ბ. უსტინოვი*) თავისს პატარა წიგნაკში ეხება ეროვნულს საკითხს. საგანი არ ახალია, ძველია. მაგრამ იშვიათად თუ რომელიმე საგანი ყოფილა ისე სადავო, როგორც არის ერი. მიუხედავად იმ დიადის მნიშვნელობისა, რომელიც აქვს ეროვნებას, ეროვნული პრინციპი არ არის საყოველთაოდ აღიარებული, ჯერაც სადავოა ერი, ეროვნული თავისუფლება, ეროვნული იდეალები, ეროვნული ელემენტები. ბ. უსტინოვი ახალს არაფერს გვეუბნება, მისს წიგნაკში მოყვანილია აზრები, რომლებიც უფრო ვრცლად იყო განმარტებული სხვების ნაწერებში. ორიგინალური წიგნაკში ცოტაა.

ჩვენ ბევრში ვერ დავეთანხმებით ახალგაზდა მეცნიერს; განსაკუთრებით შემცდარია ავტორი, როდესაც ამბობს, რომ ეროვნულმა იდეამ მოსჭამა თავისი დრო, შოვინიზმად გადაიქცა და მავნებელი და რეგრესიული არისო. ავტორი აქ მოვლენის ერთ მხარეს ხედავს მხოლოდ—ეროვნულის იდეის დამახინჯებას დიდის სახელმწიფოების და თანამედროვე ბურჟუაზიის მიერ.

მაგრამ ჯერ ცოტა ვრცლად გავიცნოთ წიგნაკის შინაარსი. ერთმა ისტორიკოსმა მეცხრამეტე საუკუნეს—ერთა საუკუნე უწოდა. მართლაც, წარსული საუკუნის უმთავრესს მოვლენებს ეროვნული ხასიათი აქვთ; წარსულ საუკუნეში გამოფხიზლდნენ ერები, დაიწყო ერთა მოძრაობა და ბრძოლა ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის. ყველაზე უწინარეს ჩვენ ვხედავთ ნაპოლეონის ომებს, რომელთა პირველი მიზანი სრულებით არ იყო ხალხთა, ერების დამონება, არამედ ბრძოლა ერების განთავისუფლებისათვის მეფეებისა და დესპოტების წინააღმდეგ. „ხალხები, სწერდა ერთი მეცნიერი 1791 წ., ჩვენსკენაა, ყველანი საფრანგეთის მომხრენი არიან, და აქ სრულებით არ ეომება ერთი ერი მეორეს, რადგან მეფეები ყველგან ერთად არიან ხალხის დამონების საქმეში, და ხალხები შეერთდნენ, რომ ტახტებიდან ჩამოაგდონ დესპოტები“. ასეთ აზრებით გატაცებულ რევოლიუციონერებს უნდოდათ შეეერთებინათ ერები და დაეარსებიათ ევროპის ფედერაცია. სამწუხაროდ, შემდეგში ეს კეთილი აზრი დამახინჯდა და საფრანგეთის ომებმა სხვა ხასიათი მიიღო. საფრანგეთის ჰუმანიტარული მისწრაფება გადაიქცა სამხედრო სახელის და დიდების წყურვილად, რომელზედაც საკუთარი ტახტი ააგო ნაპოლეონმა. ხოლო მთელს ევროპას მოეფინა საფრანგეთის მიერ შემოტანილი ადამიანის და ერის თავისუფლების იდეები. ამ იდეებმა დაჰბადეს ერთა ბრძოლა თვითონ ნაპოლეონის ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს ერები უერთდებოდნენ წინად დავმობილ მეფეებს. თუმცა იბრძოდნენ საკუთარ ეროვნულ თვით-არსებისათვის.

ეროვნულ გამოფხიზლებას და მოძრაობას მალე წინ გადაეღობა ლეგიტიმიზმი, რომელმაც ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყენა დინასტიური ინტერესები მეფეებისა. ლეგიტიმიზმმა თავი დააღწია ნაპოლეონის კლანჭებს მხოლოდ ეროვნულ გრძნობების გამოფხიზლების შემწეობით, მაგრამ რაკი გამაგრდა ლეგიტიმიზმი, ამ ეროვნულ გრძნობებს დაუწყო ბრძოლა. ვენის კონგრესზე მონარქებმა გაინაწილეს ევროპა და სრულებით არ მიიღეს მხედველობაში ერთა მისწრაფებანი. მეფეებმა შეხედეს ევროპას, როგორც კერძო საკუთრებას და განაწილების დროს მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ერთი მეფე მეორეზე უფრო არ გაძლიერებულიყო. „მაგრამ ისტორია მოქმედობს არა მეფეებისა და დიპლომატების ხელმძღვანელობით, არამედ შინაგან განვითარების კანონებით“. რა-კი ერთხელ ამოძრავდა და განვითარდა ეროვნული იდეები და მისწრაფებანი, ვენის კონგრესი ვერ შეაჩერებდა მათ, ვერ მოსპობდა იმას, რაც საფრანგეთის რევოლიუციამ უანდერძა კაცობრიობას...

მალე, 1829 წ. საბერძნეთი განთავისუფლდა ოსმალეთისაგან, თუმცა ლეგიტიმისტური წრეები ამის წინააღმდეგნი იყვნენ. 1830 წ. ბელგია, რომელიც ვენის კონგრესმა ძალდატანებით შეუერთა ჰოლანდიას, აჯანყდა და გაშორდა ნიდერლანდებს, და ლეგიტიმისტები ძალა-უნებურად შეურიგდნენ ამ ფაქტს. 1848 წლის თებერვლის რევოლიუციამ კვლავ შეანძრია ევროპა და გამოიწვია საყოველთაო ეროვნული მოძრაობანი. უნგრები წინააღუდგნენ ავსტრიას და მოითხოვეს სრული ეროვნული თავისუფლება; უნგრებს მიჰბაძეს ჩეხებმა, პოლონელებმა, ხორვატებმა, მალოროსებმა და სხ. 1848—1870 წ. გაერთიანდა იტალიის ერი, 1871 წ. დამთავრდა გერმანიის სახელმწიფოთა შეერთება; ოსმალეთისაგან განთავისუფლდა სერბია, ბოლგარია, რუმინია. გამწვავებული ბრძოლა აქვთ ინგლისთან ირლანდიელებს თავისუფლებისათვის, სიონისტები ოცნებობენ ებრაელთა თავისუფალ სამეფოს დაარსებას, სიკვდილ-სიცოცხლის კითხვაა ეროვნული განთავისუფლება კრიტელებისა და მაკედონელებისათვის. მრავალი მაგალითი გვიდგია თვალ-წინ და მათი უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია. დღეს ეროვნულ იდეას ხელი ჩასჭიდეს სახელმწიფოებმაც კი, და ბრუჟუაზიამ ხომ ვაჭრობა-მრეწველობის პოლიტიკად გახადა ეროვნება.

თუმცა ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ იდეას ახ[illegible]როის ისტორიაში, მაგრამ მისი შინაარსი [illegible] სუსტად არის გამოკვლეული, დღემდისაც არ არის გამოკვლეული მეცნიერულად ეროვნული იდეა და მისი ელემენტები. საყურადღებოა, რომ თუმცა საფრანგეთის რევოლიუციამ გამოიწვია ერთა მოძრაობა, მაგრამ თვითონ რევოლიუციას არ მიუღია თავის სულიერ მამებისაგან შემუშავებული თეორია ეროვნულის იდეისა. მონტესქიეს მხოლოდ გაკვრით აქვს აღნიშნული ერთს ადგილას, თუ რა მჭიდრო კავშირია რომელისამე ქვეყნის კანონებსა და დაწესებულებათა და ერის ზნე-ხასიათს შორის. რუსსოც ეხება რამდენსამე ალაგას ეროვნულ საკითხს. ერთს თავის თხზულებაში რუსსო სწერს: „ეცადეთ, რომ პოლონელს არ შეეძლოს გარუსება და თქვენ ნურავის დაპყრობის ნუ გეშინიათ. ეროვნულ დაწესებულებებს შეადგენს ხალხის გენია, ხასიათი, გემოვნება და ჩვეულებანი, ყველაფრის ამის გამო ერი არასოდეს არ დაჰკარგავს თავის პიროვნებას“.

არსებითად რევოლიუციის თეორია აღიარებდა მხოლოდ ადამიანს მისის ბუნებრივის თანდაყოლილის უფლებებით და პირობაზე (ხელშეკრულობაზე) დამყარებულს სახელმწიფოს. რევოლიუციის თეორიას და მის შექმნილს დაწესებულებებს აბსტრაქტული ხასიათი ჰქონდა. რევოლიუციის იდეები უნივერსალური, კოსმოპოლიტური იყო, რევოლიუცია მხედველობაში არ ღებულობდა სინამდვილეს, რეალურ ფაქტებს. ამიტომ მისი იდეები რომ სხვა და სხვა ქვეყნებში გავრცელდა, ყველგან სხვა და სხვანაირად შეიცვალა. ხოლო როდესაც ბოლო მოეღო მე-18 საუკუნის რაციონალისტურ ფილოსოფიას, რომელზედაც იყო აღმოცენებული რევოლიუციის თეორია, მეცნიერებამ ხელი მოჰკიდა სხვა და სხვა საზოგადოებათა შესწავლას. მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ინდივიდს (პიროვნებას) და სახელმწიფოს შუა არსებობს არა ერთი და ორი საზოგადოება. ისტორიულმა სკოლამ გამო

---

*) „იდეა ეროვნულ სახელმწიფოსი“. ხარკოვი,

ყვან პოლიციაში. დარაჯსაც გადაუცია ქურდი მეგობრისთვის. მეორე დღეს ეკკლესიის დარაჯს პოლიციაში უკითხნია, ქურდი თუ მოიყვანესო, მაგრამ პოლიციაში უარი უთქვამთ.

✦ ქიათურის შტოს სადგურ დარკვეთიდან გვატყობინებენ, რომ ჭიქოურში 25 დეკემბერს ცეცხლი გასჩენია ს. და კ. გამყრელიძეების სახლს, სადაც მოთავსებულია დუქნები. გამყრელიძეებს ზარალი მოსვლიათ 700—900 მანეთამდე. დაზარალებულა აგრეთვე მეფურნე არდიშვილიც, რომელსაც 300 მანეთამდე ზარალი მოსვლია.

ამ №-თან ხელისმომწერთ ურიგდებათ სურათებიან დამატების 181 №, რომელშიაც მოთავსებულია: „რაინდის ჩივილი“, ლექსი ვაჟა-ფშაველასი; „ეული“, საახალწლო ამბავი გ. ახალციხელისა; წვრილი ამბები. სურათები: „გაზაფხულის სიო“, ნონენბრუხისა; „ამორძლები“, ალტმიუმერისა; „ძალმომრეობის მსხვერპლი“, ლილიეფორსისა და ერთი კარიკატურა.

## ქუთაისის ახალი ამბები

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის გამგეობა პირობით შეეკრა მიწის მზომელს, რომელმაც მომავალის წლის პირველ ივნისამდის უნდა დაგეგმოს და დაჰყოს სამოსახლოებად სალორიის აგარაკში მდებარე თავისუფალი ადგილები. ამ ახალის წლიდან მიწის მზომელი კიდეც შეუდგება საქმეს. ჯობდეს რომ არ დააგვიანდეს, საჭიროა აგარაკის გეგმვის დროს ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებას: მოგეხსენებათ, სალორიის აგარაკში ბევრი სამოსახლო ადგილი ეხლაც გაცემულია იჯარით, მაგრამ ისე თავბოლოდაა გაცემული, რომ კაცმა არ იცის, ვის რამდენი ადგილი უჭირავს. თუმცა ზოგიერთი სამოსახლოები კაცს თავის დღეში არ გაუზომავს, მაგრამ რაც გაზომეს, ისიც ხელახლად გასაზომია. ადგილის ზომა ყოველ წელს იცვლება: მოიჯარადრე ან თავისსავე მეზობელს ჰპარავს ადგილს, ან ქალაქისაგან დატოვებულს ქუჩას შუაზე ჰყოფს და თავისს ეზოს უმატებს. ამით აიხსნება, რომ ქალაქისაგან დატოვებული ხუთ საჟენიანი ქუჩები ეხლა ისე დავიწროვებულია, რომ სოფლის შუკებს წარმოადგენენ, სადაც ურემი ურემს გვერდს ვერ შეუვლის. საჭიროა, ეს ქუჩები გასწორდეს და, რაც შეიძლება, გაფართოვდეს, თუნდ ამით ეზოებს ბევრიც მოაკლდეს. რაც შეეხება ახალ ქუჩებისთვის ადგილის დატოვებას, საჭიროდ მიმაჩნია, რომ ქალაქმა არ იძუნწოს და ძლიერ ფართო ქუჩები დასტოვოს, მაგალითად, ათ საჟენიანი, რომ შემდეგში საქმე თავში ხელის საცემად არ გაუხდეს, როგორც ეხლა სჭირს. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ქალაქი სალორიის აგარაკისკენ დიდის სისწრაფით მიიწევს, ასე რომ ქალაქის ამ ნაწილს დიდი მომავალი მოელის. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს თავისუფალ ადგილების დატოვებას მოედნებისა, ბაღებისა, ეკკლესიებისა და სკოლებისათვის.

ყველა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ქალაქმა და ეცადოს თავიდან აიცდინოს ის უხერხულობა, რომელშიაც ის ამ ჟამად ჩავარდნილია ძველის გამგეობის წინდაუხედველობის წყალობით.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, 29 დეკემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში ბავშვებისთვის მზრუნველ საზოგადოების გამგეობას უნდა გაემართა უფასო შობის ხე ქალაქის ღარიბ ბავშვთათვის. რადაც მიზეზის გამო, გამგეობის თავმჯდომარეს საჭიროდ არ დაუნახავს ღარიბ ბავშვებისთვის შობის ხის გამართვა და წინა დღით შეძლებულ ბავშვებისთვის გაწყობილი შობის ხე მიუყიდნია ქალაქის საკრებულოსთვის („კრუჟოკისთვის“), რომელიც 3 იანვარს თავისს წევრთა ბავშვებს უმართავს უფასო შობის ხეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამგეობა ამ შობის ხეს დაჰპირდა საკვირაო სკოლის მასწავლებელთ, რომელნიც 4 იანვარს სათავად-აზნაურო სასწავლებლის დარბაზში აპირებენ შობის ხის გამართვას თავის მოწაფეებისათვის. ნაშუადღევის პირველ საათზედ ქალაქის გამგეობის შენობაში შეკრებილ ბავშვებს გამოუცხადეს, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში მოეყარათ თავი. რამდენისამე წამის განმავლობაში აუარებელი ბავში მიაწყდა საკრებულოს დარბაზის კარებს. იქ მათ დაურიგდათ ტანისამოსი, ფეხსაცმელები, ქუდები, შესაკერავი მატერიები, კამფეტები, ხილი და სხვა. ასზე მეტს ბავშს მიეცა ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, ზოგს ძველი და ზოგსაც ახალი; დანარჩენებმა მხოლოდ კამფეტები და ხილი მიიღეს.

✦ 30 დეკემბერს მოხდა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელსაც უნდა განეხილა ყასბების თხოვნა ხორცის ნიხრის მომატების შესახებ. ამ ორი თვის წინად ქალაქის საბჭომ შეიწყნარა ყასბების თხოვნა და დაადგინა, ერთი კაპეიკი მომატებოდა გირვანქა ხორცის ფასს 1903 წლის პირველ დეკემბრიდან, მაგრამ გუბერნატორმა არ დაამტკიცა ეს დადგენილება. საბჭომ ეხლაც დააკმაყოფილა ყასბების შუამდგომლობა და, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, დაადგინა თითო კაპეიკი მოემატოს გირვანქა ხორცის ფასს. ამგვარად მორეკილ საქონლის თითო გირვანქა ხორცი ეღირება პირველის ხარისხისა—ორ შაურად, მეორესი—9 კაპეიკად; ადგილობრივ საქონლის ხორცი: პირველი ხარისხისა—8 კაპეიკად, მეორესი—7 კაპ.; ცხვრისა და მოზრდილ ხბოს ხორცი ორ შაურად; ძუძუმწოვარი ხბოს ხორცი—12 კაპეიკად; ღორის ხორცი—ორ შაურად, კამეჩისა—7 კაპ. და სუკი გირვანქა აბაზად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფასებში ჩვენი ყასბები ეხლაც ჰყიდიან ხორცს.

## რუსეთის ქრონიკა

✦ საერო განათლების სამინისტროს აზრად აქვს, გადასცეს გადასაწყვეტად სამოსწავლო ოლქის მზრუნველთ შემდეგი საკითხი: დაარსება ადგილობრივ ხარჯებზე გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებელთა, გადაკეთება პროგიმნაზიებისა გიმნაზიებად, დახურვა და დაარსება პანსიონების დასახელებულ სასწავლებლებთან და მიღება საშუალო სასწავლებლებში იმ მოსწავლეთა, რომელნიც დაწესებულ წლოვანობაზე დიდნი ან პატარანი არიან.

✦ როგორც „ვესტნიკ იუგა“ გვაუწყებს, 20 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, სამხრეთდნეპრის სამეტალურგო ქარხანაში მუშებს უწესოება მოუხდენიათ. მიზეზი უწესოებისა ხელფასის შემცირება ყოფილა. მუშებს, სხვათა შორის, დაუნგრევიათ კანტორა ზავოდისა და დაუწვავთ მომხმარებელი დუქანი. საქმის გამოსაძიებლად წასულნი არიან გუბერნატორი, პროკურორი და ბევრი სხვა მოხელე. გაიწვიეს აგრეთვე ჯარი. უწესოება ჩქარა ჩააქრეს. ზარალი ძლიერ დიდია.

✦ საკვირველ ამბავს გვაუწყებს „კრიმსკ. ვესტ.“ ევპატორიის ერობას სამსახურიდან დაუთხოვია ფერშალი ველიჩკოვსკი ერობის ხმოსნის ფ. შლეეს წინადადებით. დანაშაულობა ფერშლისა მხოლოდ ის ყოფილა, რომ იმას, თანახმად კანონისა, რამდენჯერმე ბეჯითად მოუთხოვია ხმოსან ფ. შლეესათვის, გაეუმჯობესეთ სამუშაოს სანიტარული პირობები, რადგან ანტისანიტარულ პირობებისა გამო დიდ-ძალი მუშა—[illegible] ავად ხდებაო.

✦ მომავალ წლისთვის პეტერბურგში მოხდება მთელის რუსეთის მასწავლებელთა კრება. ამ კრებაზე, სხვათა შორის, აპირებენ შეიმუშავონ საკითხები საამხანაგო სამართლის და ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების დაარსებისა.

✦ საერო განათლების სამინისტროს გამოუცია და დაურიგებია სამოსწავლო ოლქის მზრუნველების, რექტორებისა და ფაკულტეტების დეკანებისათვის დადგენილებანი იმ კომისიისა, რომელიც ნ. პ. ბოგოლეპოვის და პ. ს. ვანოვსკის დროს მუშაობდა უმაღლეს სკოლის ტიპის შეცვლის შესახებ.

— ქ. კამიშევში, როგორც „სარატ. ლისტ.“ გვაცნობებს, ამ თვის 10-ში ოლქის სასამართლოს სესსია გაასამართლებს საერობო დარაჯთა უფროსს დეკონსკის, რომელსაც სოფ. დობრინკის გლეხის მოკვლა ჰბრალდება. ბრალდებულს იცავს პეტერბურგელი ვექილი მირონოვი, ხოლო დაზარალებულ მხარეს—[illegible]-ნი კალმანოვიჩი.

## თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** პარასკევს, 2 იანვარს, ქართულ თეატრის დაარსების დღეს, ჩვენმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა, არა ერთხელ წარმოდგენილი ქართულს სცენაზე პ. ი. უმიკაშვილის ცნობილი სცენა „სამზადისი“ და 4 მოქმედებიანი დრამა „დამარცხებულნი“ იმავე ავტორისა. „სამზადისი“, სამწუხაროდ, ისე კარგად არ იყო მოწყობილი და მომზადებული, როგორც წინად და ამიტომ არც ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზედ, როგორც წინად მოუხდენია.

„დამარცხებულნი“ კი უკეთ იყო მომზადებული და უფრო მწყობრადაც წარმოადგინეს ჩვენმა არტისტებმა. კარგად შეასრულეს თავიანთი ძილები ბ-ნმა კ. ყიფიანმა-ჯერანასა (და უფრო უკეთესი იქნებოდა, როლი რომ ცოტა მტკიცედ სცოდნოდა), ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისამ მათასი და ჩხეიძემ ბეატრიჩეს როლები.

თეატრი სავსე იყო.

დღეს, 4 იანვარს, ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი ნიჭიერ არტისტის კლ.

თად, რომ უფლება არის ნაყოფი ერის ზნეხასიათისა. ორგანიულმა სკოლამ დაუახლოვა სახელმწიფო ორგანიზმს და გამოარკვია სხვა და სხვა საზოგადოებრივ ფორმების მნიშვნელობა სახელმწიფოს ორგანიზმისათვის. აღორძინდა სოციალოგია, რომელიც შეუდგა საზოგადოებათა შესწავლას. განვითარდა ლინგვისტიკა, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია.

ამ მეცნიერებათა განვითარებას თან მოჰყვა ეროვნული საკითხის გამოკვლევა და გამოაშკარავება. დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ერი არ არის ფიზიოლოგიური ერთობა, რომ ერთი და იგივე არაა ერი, რასა ან ტომი. მეორეს მხრით ერი არ არის იურიდიული ერთობაც (ხშირად ხელოვნური და ნაძალადევი), ერი სხვაა და სხვაა ერთის რომელისამე სახელმწიფოს ქვეშევრდომი ხალხი; ერთი სახელმწიფო წესწყობილება და კანონები არ წარმოადგენს ერს *).

მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ერი არის ისტორიული და კულტურული ერთობა; იგი არის ნაყოფი საერთო ისტორიულის ბედისა, საერთო კულტურულის როლისა **) მაგალითად ჯ. სტ. მილლი ამბობს: უძლიერესი ფაქტორი ეროვნებისა არის საერთო პოლიტიკური წარსული, ნაციონალური ისტორია, მაშასადამე საერთო მოგონებანი, სიამაყე, დამცირება, სიხარული და მწუხარება. ეროვნება, სწერს რენანი: არის გონებრივი არსება, ისტორიის მრავალ-სახოვან გარემოებათაგან წარმომდგარი, გონებრივი ოჯახობა“.

შპრინგერი ასეთ ნაირად ახასიათებს ერს: „ერი არის ერთობა გრძნობათა და აზრთა“-იურისტი დუგუი ეხება საგანს სხვა მხრით და ამბობს, რომ ერთა არსებობა გამოიწვია ტენდენციების და ინდივიდუალურ თვისებათა სხვა-და-სხვაობამ და შრომის განაწილების აუცილებლობის შეგნებამ.

ასე თუ ისე, ყველანი იმ აზრის არიან, რომ ერი „სულიერი პრინციპია“, როგორც რენანი ამბობს, ან „შინაგანი მოვლენა“. ელინეკის აზრით, ერი არ წარმოადგენს გარეშე არსებულს ობიექტიურს რასმე. მისი განსაზღვრა გარეგანის მასშტაბით შეუძლებელია. ერი არსებითად სუბიექტიურია, ე. ი. ერი ნიშანია ცნობიერების განსაზღვრულ შინაარსისა.

რა-კი ერი საერთო ისტორიის ნაყოფია, მისი არსებობა და მოსპობა დამოკიდებულია ისტორიულ პირობებზე. უმთავრესი პირობები ერის დაარსებისათვის არის გამორკვეულობა საზღვრებისა და მცხოვრებთა, მათი განსაზღვრულობა. ძველ დროში საზღვრების სიმტკიცეს და მკვიდრთა განსაზღვრულობას ხელს უშლიდა გარეშე ტომების შემოსევა, ერთის მეორეზე თავს დასხმა, ფეოდალიზმი, რომელსაც ხალხი განაწილებული ჰყავდა რამდენსამე მესაკუთრეს შორის, და კათოლიციზმი, რომელსაც უნდოდა ყველა ხალხი, ერთის პაპისათვის დაემორჩილებინა.

ერები უმთავრესად ახალმა დრომ შეჰქნა. თანამედროვე ერები საზოგადოდ გაჩნდენ მეცხრამეტე საუკუნეში. რასაკვირველია, ეს ერები უცბად არ გაჩენილან, ხოლო მათის განვითარების, განმტკიცების, შეგნების ხანა დადგა წარსულ საუკუნეში. ამას ყველაზე უწინარეს ხელი შეუწყო საფრანგეთის რევოლიუციამ. თუმცა რევოლიუციის თეორია კოსმოპოლიტური იყო და არა ეროვნული და რევოლიუციის მოთავეებს ესმოდათ ეროვნება განყენებ[illegible] ხალხი, მაგრამ თვითონ რევოლიუცია, მი[illegible]ქმედება ღრმად ნაციონალური იყო. რევოლიუციამ დაამყარა პიროვნების თავისუფლება, გაათანასწორა ყველანი, ყოველს ადამიანს დაუბრუნა ადამიანობა, საზოგადოების ყოველს წევრს მიანიჭა უფლება არსებობისა, მოქმედებისა, და თვითონ რევოლიუცია შეჰქნა მთელმა ხალხმა, ყველა ფრანგმა. მთელი ხალხი საფრანგეთისა შეიკრიბა ერთად, ერთად შეიგნო, რომ ყველას ერთნაირი გაჭირვება აქვს, ერთნაირად არის ყველა შევიწროვებული არსებულის წესწყობილებით. ხალხმა ერთად მოიქმედება დიდებული საქმე, მოიპოვა თავისუფლება, დაამხო დესპოტიზმი. რევოლიუციის დროს ხალხი გამოვიდა პასსიურ როლიდან, ხალხი შეიქნა მომქმედი პირი, ბრძანებელი, გამგე, მსაჯული.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამ დიდებულის მომენტების დროს ფრანგებმა შეიგნეს, რომ ისინი ერთს ერს შეადგენდენ. შესანიშნავი მოვლენების დროს ერი გამტკიცდა, გაიმსჭვალა ერთის გრძნობებით და ფიქრებით. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა სხვა რევოლიუციებს სხვა ერებისათვის. როდესაც ერი იცავს თავისუფლებას, იბრძვის თავის უფლებათათვის, მაშინ ყველაზე უფრო შეიგნებს იგი თავის სოლიდარობას და ერთობას. არა მცირედი მნიშვნელობა აქვს ერის აღორძინებისა და გამტკიცებისათვის აბსოლიუტურის წესწყობილების მაგიერ წარმომადგენლობითი მმართველობის შემოღებას, საზოგადოდ მმართველობის დემოკრატიზაციას. რამდენად მეტს მონაწილეობას იღებს ხალხი სახელმწიფო საქმეებში, იმდენად მეტად ჰგრძნობს იგი თავის ეროვნულ ერთობას.

ერის სხვა-და-სხვა ნაწილების შეერთებასა და დახლოვებაზე დიდი გავლენა ჰქონდა სავაჭრო და სამრეწველო ინტერესების განვითარებას. ამ უკანასკნელ ინტერესებს დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე საერთაშორისო კონკურენციაში. ეროვნულ გრძნობების განვითარებას ხელი შეუწყო ისტორიის, ლინგვისტიკის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის განვითარებამ, ტეხნიკურმა პროგრესმა, რომელმაც გააადვილა მისვლა-მოსვლა; განსაკუთრებით დიდად მოქმედობს ეროვნულ განვითარებაზე მწერლობა და პრესა, სულიერი სარკე ერისა, რომელშიაც იგი ყველაზე უფრო ადვილად ხედავს თავის თავს, თავის ვინაობას.

ეროვნულ მისწრაფებათ ხელს უწყობენ დღეს თვითონ მთავრობანიც: ერთის მხრით იმით, რომ აქეზებენ რომელსამე ერს ეროვნულ გაძლიერებისათვის და ხშირად უღვიძებენ მას გადამახინჯებულ ეროვნულ გრძნობებს, შოვინისტურ პატრიოტიზმს; მეორეს მხრით—დევნიან დამორჩილებულ ერებს (როგორც ავსტრიაში) და ამით უფრო უღვიძებენ დევნილ ერებს ეროვნულ გრძნობებს.

ყველა ამ პირობებმა წარმოშობეს, განამტკიცეს და გაავრცელეს ნაციონალური იდეა. რა არის შინაარსი ამ ნაციონალურის იდეისა? რას თხოულობენ ერები? რა მოითხოვა ახალმა დრომ ეროვნულის საკითხის წინ წამოყენებით? სად არის დასასრული ეროვნულის პრინციპისა? არის იგი აუცილებელი პირობა განვითარებისა დღესაც, თუ არა? ამ კითხვებზე ბ. უსტინოვის წიგნაკი ვერ იძლევა ჯეროვანს პასუხს. ბ. უსტინოვი კარგად აყენებს კითხვებს, მხოლოდ ვერ გვაძლევს შესაფერს პასუხს. შეეშინდა აქ ავტორს დედა-აზრის ლოღიკურის შედეგებისა, თუ სხვა მიზეზმა იმოქმედა მაზე,—არ ვიცით.

**კალამი**

(დასასრული იქნება)

---

*) თუმცა ვიცით ზოგიერთი შემთხვევა, რომ ენას არა აქვს მნიშვნელობა ეროვნებისათვის, მაგრამ უმრავლესს შემთხვევაში ენა უდიდესი თვისება და უძლიერესი ძალაა ეროვნების. ზოგი ერის (ებრაელების; სომხების) ცხოვრებაში სარწმუნოებას აქვს მნიშვნელობა, ზოგისაში—ენას, ზოგისაში სხვას.

**) ერის არსებითი თვისება შეგნება ეროვნულის ერთობ[illegible] ერის წევრთა მიერ. რამდენად დიდია ეს შ[illegible] [illegible] ძლიერი [illegible] ერი.

ლექსი-მესხიშვილისა. წარმოდგენილი იქნება ლლერის დრამა „ყაჩაღები“. ბ-ნი მესხიშვილი ფრანც მოორის როლს შეასრულებს.

---

**ბაქო.** 30 დეკემბერს საკრებულო დარბაზში საქველმოქმედო აზრით გამართა ქართულ-რუსული წარმოდგენა, რომელშიაც, სცენის მოყვარეთა გარდა, მონაწილეობას იღებდნენ მსახიობი-ქალი ეფ. მესხი და ბ-ნი მ. ქორიძე. პირველად წარმოადგინეს რუსულად პატარა ვოდევილი „სახიფათო დებიუტი“ ლენსკისა. მაგრამ ამ პიესამ როგორღაც უფერულად ჩაიარა, რადგან იმისი ყურის გდება, როგორც ეტყობოდა, დამსწრე ხალხს მაინცდამაინც არ ეინტერესებოდა, და ყველანი მოუთმენლად ელოდნენ ქართულ წარმოდგენის დაწყებას. მიუხედავად ამისა, ქორიძემ კარგად პატარა გიმნაზიელ ვსევოლოდის როლი. გრძელი ანტრაქტის შემდეგ დაიწყო ქართული წარმოდგენაც. წარმოადგინეს ოსტროვსკის 4 მოქმედებიანი პიესა „უბრალოდ დანაშაულნი“. ლიუბა ოტრადინის როლს ასრულებდა ქ-ნი ე. მესხი, რომელმაც მშვენიერის თამაშით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება და მრავალი ცრემლიც დაალვრევინა. დამსწრე ხალხის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა: ყოველ მოქმედების შემდეგ დარბაზში საზოგადო ტაშის ცემა და ვაშას ძახილი დიდ ხანს გაისმოდა. ნიშნად გულწრფელ მადლობისა ნიჭიერ მსახიობს საჩუქარიც მიართვეს. მეორე უმთავრესს როლს გრიგოლ ნეზნამოვისას ასრულებდა ახალგაზრდა მსახიობი ბ-ნი ქორიძე, რომელმაც როლი თავიდან ბოლომდის მშვენიერად ჩაატარა. სცენის მოყვარენიც თითქმის ყველანი რიგიანად ასრულებდნენ თავიანთ როლებს და კარგადაც იყვნენ მომზადებულნი. მათ შორის კარგად თამაშობდა შმაგას როლს ბ-ნი ჩივაძე და ბევრიც აცინა დამსწრე ხალხი. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. ქართველებს გარდა სომხებიც იყვნენ.

აქაური რუსული დრამატიული დასი ემზადება წარმოადგინოს ბატ. სუმბათაშვილის ახალი პიესა „ღალატი“ და საზოგადოებაც მოუთმენლად მოელის.

**წყალტუბელი**

## წერილი სამეგრელოდან

მოსავალი. — მეაბრეშუმეთა ამხანაგობა.

წარსული წელიწადი მოუსავლობით დიდად დამაფიქრებელი და შემაწუხებელია სამეგრელოს მცხოვრებთათვის. ჯერ ისევ გაზაფხულზე, ზოგი ავდრებისა და ზოგიც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, ხვნა-თესვა დაგვიანდა და მასთან, სამწუხაროდ, ბარად რიონისა, ცხენის-წყლისა და შავი-ზღვის პირად ბევრი ნაყოფიერი ადგილი დაუთესველი დარჩა. ზაფხულიც მეტის-მეტად წვიმიანი (ხშირი წვიმები) გამოდგა და პირნახულიც ერთიანად დაზიანა-გაათუხა. რაც ზაფხულის წვიმებს გადარჩა, იმას შემოდგომამ თავისის ავდრებით და სუსხ-ქარით ბოლო მოუღო, — ასე რომ, მცოდნე კაცების მოწმობით, ჩვენში წლეულს საშუალოზედ ბევრად ნაკლები მოსავალი იყო სიმინდისა. ერთის სიტყვით, თუ მცხოვრებთა უმეტესობას სიმინდი აღდგომამდის ეყო, დიდი წყალობა იქნება ღვთისა. მეგრელის ამ ჭირს მეორე ჭირიც ზედ დაერთო: სიმინდის ისედაც მცირე მოსავალს ულმობელი მტერი — მემლა გაუჩნდა. ნახშირივით შავი და გულ-მოსაკლავი სანახავია დღეს სიმინდის ფქვილი. რასაკვირველია, იმისი ნოყიერებაც საეჭვო უნდა იყოს.

სექტემბრისა და ოქტომბრის პირველ ნახევარში, როდესაც აქ ტეხა-კრეფაა გაჩაღებული, საშინელი ცუდი დარები იდგა. სამაგიეროდ შუა ოქტომბრიდან დეკემბრის ოცამდის შესანიშნავი დარები იყო, რის წყალობითაც, ცოტა არ იყოს, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. 21 დეკემბერს მოვიდა დიდი თოვლი და მას აქეთ ხან თოვლია და ხან თოვლზე უარესი ქარი, რის გამოც უშემოსავლობით შევიწროებული მცხოვრები დიდს გასაჭირშია. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უკანასკნელ 3—4 წლის განმავლობაში შეშის ფასმა ერთიორად აიწია: თუ წინად 12—13 მანეთი ღირდა ერთი საყენი შეშა, დღეს 19—20 მანეთია ამისი ფასი! სად შეუძლიან მატერიალურად წელში მოხრილსა და დაცემულს ოჯახს ამ ფასებში შეშა იყიდოს და თავი თბილად გაიტანოს და მერე ჩვენებურ მამა-პაპეულ ფარღალალა ფაცხაში, თუ ფიცრულში? ბედშავი მეგრელი თავს კი არ ითბობს, თავს იტყუებს. იმ აფხაზის არ იყოს, რომელიც არა სასიამოვნო-სასურველ სტუმრებს მიართმევდა ბუტკის ღომს და „მისაჭმელს“ კი არა, და თან ჭერზე ჩამოკიდებულ ყველზე მიუთითებდა: იმ ყველს უცქირეთ და ღომი მიირთვით! სწორედ ასე ემართება საცოდავ გლეხს: კერაზე ორიოდ ნაფოტსა თუ ფიჩხსა დაყურის და მის სინათლეს შემხედვარეს ჰგონია — ვთბებით. ამ დროს კი ყოველ მხრიდან სუსხი ქარი უსისინებს!

როგორც არა ერთხელ აღმინიშნავს, ჩვენში, სამეგრელოში, ღვინოს ხსენებაცისპობა: წლეულს, მაგალითად, ჩვენი „ადესა“ გემოთაც არავის უნახავს. დაბლარის მოშენებას ჩვენში ჯერ არ მისდევენ, „მოდათ“ არაა გადაქცეული, თუმცა, როგორც სჩანს, ეს დარგი მეურნეობისა კარგად იხეირებდა ჩვენში. ამას დაღად-ჰყოფენ ის ორიოდე, მაგალითად, მეურნე, რომელნიც ხარჯს არ შეუშინდნენ და დაბლარი გაიშენეს; სასიხარულოდ, შრომა ფუჭად არ ჩაუარათ: შესანიშნავ მოსავალთან კარგი თვისების ღვინოც დაუდგათ. რასაკვირველია, ამ ღვინის კახურ ღვინოსთან შედარება შეუძლებელია, გარნა განჯისა და ბესარაბიის ღვინოს არამც თუ ჩამოუვარდება, პირიქით, ჩვენის ფიქრით, კიდევაც აჯობებს. ვუსურვებთ იმ პიონერთ სრულს გამარჯვებას ამ საქმეში, რათა მით ხალხსაც მიეცეს საშუალება მათის მაგალითს წაჰბაძონ და დაბლარის გაშენებას მიჰყოს ხელი.

უსახსრობით ილაჯ-გაწყვეტილი გლეხი-კაცი, მორჩება თუ არა ტეხა-კრეფას, სტოვებს თავის ცოლ-შვილს და მიდის სამუშაოს საძებნელად ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, უფრო ერთ შემთხვევაში სოხუმის ოლქში. უნდა თავისის თვალით ჰნახოს კაცმა, თუ როგორ მოუხრია და მოუკაკვავს მეგრელი ულმობელ ცხოვრების ტალღებთან ბრძოლასა: მუდამ მხიარულის, პირ-მომცინარის, ჭირ-ვარამში შეუპოვრად და მედგრად მბრძოლელ მეგრელის მაგიერ დღეს თქვენ თვალწინ სდგას უტყვი და თავმოხრილი მონა! ოდესღაც ჩვენში ქებული სიმღერები დღეს აღგვილან დედა-მიწის პირიდან, — და თუ ათასში ერთხელ გაიგონებ სიმღერის მაგვარ რასმეს, ესაა გულის სიღრმიდან ამონაკვნესი გოდება თავისის უნუგეშო მდგომარეობისა, რომლის ბრწყინვალე მომავლის იმედიც კი დაჰკარგვია! მაშველი და მხსნელი, უბრალო გზის მაჩვენებელიც კი არსად სჩანს!

ისევ თავის თავს თითონ თუ უშველის, თორემ ამ ჩვენს დროში, როცა თვით ადამიანს ფასი დაჰკარგვია და მხოლოდ გვარის დასახელებას აქვს ყოვლად მხსნელი მნიშვნელობა, სხვა ვინ იქნება მისი გზის მაჩვენებელი!?

ცოტა რამ სასიამოვნოც. როგორც მკითხველს მოეხსენება, დაბა ძველსენაკში არსებობს მეაბრეშუმეთა ამხანაგობა „შუამავალი“. ამ ამხანაგობას წლეულს კარგი დარი დაუდგა: მისმა მოქმედებამ ყოველს მოსალოდნელ იმედებს გადააჭარბა: საოპერაციო წელიწადი გათავდა 2100 მ. მოგებით და ეს ამისთანა პატარა ამხანაგობისათვის, როგორც ჩვენი პატარა ამხანაგობაა, დიდია. მისი ოპერაციები წლეულს ავიდა 12,000 მანეთამდის და მასთან პირველად წლეულსვე მიჰმართა სესხს. საზოგადოდ მადლობის ღირსნი არიან ამხანაგობის გამგე ას. წითლიძე და მოლარე ილ. გვანცალაძე. ვუსურვებთ ამხანაგობის გამგეობას კიდევ უფრო მეტის ენერგიითა და ერთსულობით მოჰკიდებოდნენ საზოგადოებისაგან მათ სამზრუნველოდ ჩაბარებულს საქმეს.

**ჰამუთ-ბეი**

## წერილი ბათუმიდან

სამუშაოს მძებნელნი

ბათუმი თუმცა პატარა, მაგრამ სიცოცხლით სავსე ქალაქია. იმას პირველი ადგილი უჭირავს ამ მხრით ტფილისსა და ბაქოს შემდეგ ამიერ-კავკასიაში. მუდამ ცოცხალი, მოძრავი და დაუდგომელი ბათუმი იმდენად საინტერესო გამხდარა დღეს ლუკმა პურის საძიებლად გადმოხვეწილთათვის, რომ ერთხელვე აქ დაბინავებულნი, ვეღარ შორდებიან. აქ შეხვდებით ყველას: გურულს, მეგრელს, იმერელს, შორიდან მოსულ სომეხს, თათარს, ბერძენს, რუსს და სხვას. ბათუმი იზიდავს სოფლებიდან დღითი-დღე სულ მეტსა და მეტს %-ს მშრომელ ელემენტისას, რომელსაც ვეღარ მოუხერხებია სოფლებში თავის რჩენა, ვერ დაუკმაყოფილებია დღევანდელ ცხოვრების ათას გვარი მოთხოვნილება. ამ ჟამად გვსურს, მკითხველო, მოვილაპარაკოთ იმ მშრომელ უმრავლესობაზე, რომელიც დღეს ბათუმში ტრიალებს და უმთავრეს იმის მაცოცხლებელ ძალად ითვლება. არც ერთ ქალაქს დასავლეთ საქართველოში იმდენი მუშა ხალხი არ აწყდება, რამდენიც ბათუმს. თუმცა აქ სამუშაო ადგილი ბევრია, მაგრამ მაინც ბევრი მუშა რჩება გარედ, დროებით მაინც. ყველაზე მეტი მუშაობა და მეტი მუშა ორ ქარხანაშია. პირველია „ბნიტოსი“, ანუ ეგრეთ წოდებული „დიდი ზავოდი“ და მეორე მანთაშევისა. ყველაზე მეტი სამუშაოს მაძიებელნი პირველს ახვევია. ყოველ დილას შეჰხვდებით აქ კარებთან ატუზულს ჯგუფებს, მოდიან და მიდიან, ელიან სამუშაოს, შესჩერებიან ყველას, თითქოს რაღაც მოწყალებას თხოულობენ. სახე დაღვრემილნი ელიან, ეგებ ბედმა გაგვიღიმოსო. ზოგსა ჰყავთ აქ ნაცნობ-ნათესავნი, მეგობრები მუშები, იმათი იმედიცა აქვთ, შესჩერებიან „პრიკაშჩიკებს“. ზოგს ორი და სამი კვირა-უსრულდება, მაგრამ ადგილის შოვნას მაინც ვერ ღირსებია. ზოგჯერ ისიც დიდი ბედნიერებაა, კვირაში ერთხელ-ორჯელ თუ ეღირსა ცოტა წამუშავება და მისი ქირით ხმელა, გამხმარის პურით თავის გამოკვება. მუშებად მოდიან სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი. ამას წინად წერილი მივიღე ერთის ნაცნობის ფოტოგრაფისაგან. მწერს: „ძმაო, შენ იცი ჩემი გაჭირვებული მდგომარეობა, ეცადე, ძლიერ ეცადე, ეგება გახდეთ საშუალებას და მომიხერხოთ მუშის ადგილის შოვნა ქარხანაში სადმე. მე ვარჩენ თავს ჩემს ხელობას და თუ დღიური სამუშაო ვიშოვე, დიდად ბედნიერად ჩავთვლი თავს“. აქვე მეუბნება მეორე, სემინარიელი: „თუ რამე სამუშაო იყოს, მაცნობე და გზის ქირა თუ ვიშოვე, იმ წამსვე ჩამოვალო“. მესამე, აზნაური, მეხვეწება, მაცნობე თუ შეიძლება ქარხანაში ჩემი მიღება დღიურ მუშად, მუშაობა მინდა, მიჭირს და რაფერ მოვიქცეო. ვინ იცის რამდენია ასეთი აზნაური, სემინარიელი, ფოტოგრაფი, მასწავლებელი და სხვა.

ასე გართულდა და მასთანვე გამწვავდა ცხოვრება, ბრძოლა არსებობისათვის ამ ჩვენს ჯერეთ პატარა ბათუმში.

**დროებით ბათუმელი**

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 2 იანვარი

**პეტერბურგი.** 1 იანვარს მათ უდიდებულესობათ საზამთრო სასახლეში სტუმრები მიიღეს.

**კიევი.** იაპონიის ელჩმა გაიაშმ მიიღო ტექსტი რუსეთის საპასუხო ნოტისა. გაიაშმ განაცხადა, პასუხი არ შეიცავს არც ულტიმატუმსა და არც რაიმე ვადაა აღნიშნული შიგ; პასუხი მშვიდობის მოყვარულ კილოზეა დაწერილი.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ცნობები ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ. მუკდენისა და ანდუნის გახსნას უცხოელთა ვაჭრობისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს; ახლო მომავალში შეერთებული შტატები და დანარჩენნი სახელმწიფოები ამ ქალაქებში თავიანთ საკონსულოებს დააარსებენ. სახელმწიფოთა წარმომადგენლები ხელს შეუწყობენ თავისუფალ ვაჭრობისა და ჩინეთის ხელუხლებლობის დაცვასა, და ეცდებიან უზრუნველ-ჰყონ ჩინეთის ადმინისტრატიული კონტროლი მანჯურიის პროვინციებში.

**სუეცი.** იაპონიის სამხედრო გემი „კასუგა“ ზღვაში გავიდა; „ნისსინ“-ს ისევ ტვირთავენ ქვა-ნახშირით.

**ნიუ-იორკი.** იაპონიამ შეუკვეთა ამერიკის ერთს ქვა-ნახშირის სამრეწველო ფირმას 40 ათასი ტონა ქვა-ნახშირი.

### 3 იანვარი

**ვაშინგტონი.** ჰეისა და გრაფ კასინის თათბირი ჰქონდათ აღმოსავლეთ აზიის საქმეთა მდგომარეობის შესახებ. თათბირით ორივე კმაყოფილი დარჩა. გრაფმა კასინიმ დაარწმუნა ჰეი, რომ შეერთებულ შტატების უფლება მანჯურიაში ყოველ შემთხვევაში შეწყნარებული იქნება, რადგან რუსეთი ჰფიქრობს, ამერიკას იქ მხოლოდ კომერციული ინტერესები აქვსო.

**პარიზი.** თავისუფალ ფლოტის გემმა „ორიოლ“მა გაიარა დარდანელი. ამ გემით 1,200 კაცი მიემგზავრება პორტ-არტურს.

**ბელგრადი.** 1 იანვარს მეფე დაბრუნდა ტოპოლოდან. მცხოვრებნი აღტაცებით ეგებებოდნენ. ქალაქი ბაირაღებით არის მორთული.

**ვეიმანი.** გარდაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი ედუარდ ლასსენი.

**სტამბოლი.** გენერალ ჯორჯის რუსი, ფრანგი და ინგლისელი თანაშემწენი საუზმის შემდეგ აქ მოვლენ.

**კელნი.** „კელნიშე ცაიტუნგ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება, აქაური რუსების ოფიციალური წრეები ირწმუნებიან, რამდენადაც შესაძლებელია გათვალისწინება, ახლო მომავალში ომი არ უნდა მოხდეს, რადგან გვაქვს საფუძველი სრულ მორიგების მისაღწევად, და ასეთ მორიგებას აქ დარწმუნებით მოელიანო; თანდათან ძლიერდება ის აზრი, რომ რუსეთი და იაპონია თავიანთ ინტერესებს განსაზღვრენ და კორეიის ნაწილს ნეიტრალურად გამოაცხადებენ. კორეაში ამ სახელმწიფოთა ჯარების გადაყვანა საშიშს არაფერს წარმოადგენს; ჯარები მხოლოდ იმისათვის გადაჰყავს-გადმოჰყავთ, რომ თავიანთი ინტერესები უზრუნველ-ჰყონ. იაპონიის პასუხს რუსეთის მთავრობას 3 იანვარს გადასცემენ. რუსეთის წრეები უკმაყოფილონი არიან ინგლისელ კორესპონდენტების მოქმედებით, რომელნიც ტენდენციურ ცნობებს აწვდიან აღმოსავლეთ აზიის საქმის შესახებ, რის გამოც საზოგადოება შეწუხებასა და შეცდომაში ვარდება; უკანასკნელ დღეებში ისეთი ცნობები ვრცელდებოდა, რომელნიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა სინამდვილეს.

**სტამბოლი.** არც პორტასა [illegible] არც საელჩოებს სარაევოდან არ მიუღიათ ცნობები იმ ხმების დამამტკიცებელი, ვითომ 4 ათასს [illegible] დაეჭირათ სკუტორიდან პრიზრენში მავალი გზა, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ [illegible] ახალ ჟანდარმერიის დაწყებისა გამო [illegible]

**ვლადივოსტოკი.** ხმა დადის [illegible] თომ ყველა სახელმწიფოებს წინადადება მიეცათ იაპონიისათვის, დაიცავი statns quo და მშვიდობიანობას ნუ დაარღვევო.

**ლონდონი.** „ნიპპონ-იუსენ-კაისკა“-ს მეგემეთა საზოგადოების გემთა მიმოსვლა შეჩერებულია. გემი „ტამბამარუ“ დეპეშით სინგაპურში შეაჩერეს და ისევ უკან იაპონიაში დაიბარეს. იაპონიის მთავრობამ ხსენებულ საზოგადოებისაგან ორი მსწრაფლ მავალი გემი დაიქირავა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიყინაშვილი
იღებს დილით 9—2 სათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, სახლი ი. გოკიელოვისა. (3—3)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახალი გამოცემა
წერა-კითხვის საზოგადოებისა
ბურჯი ეროვნებისა,
თხზულება იაკობ გოგებაშვილისა, მეორე ბევრად შევსებული, გამოცემა. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—სამ შაურად.

სასტუმრო ავრორა
მიხეილის პროსპექტზე, ვარანცოვის ძეგლის ახლო, სახლი № 29. 1-ლ იანვრიდან გაიხსნა **რესტორანი** ახალის პატრონისაგან. სასტუმროსა და რესტორანთან მშვენიერი კაბინეტებია. ბუფეტში არის ადგილობრივი და უცხოელი ღვინო. სამზარეულოს ზედამხედველობს თვით სასტუმროს პატრონი შეფი-მზარეული.
სადილი ორი კერძი—40 კ., სამი კერძი—60 კ., ოთხი კერძი—80 კ.; თვიურად ფასდაკლებით. საჭმელი მზადდება ახალ კარაქით და ახალის პრავიზიით, როგორც ევროპიული, ისე ჩვენებური.
ყოველდღე ბლინები
სადილების და ვახშმის შეკვეთა შეიძლება **იაფად**
(3—1) პატივისცემით **შარაბიძე და ამხ.**